

სსიპ - ვებერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური

ვებერანი




პერიოდული გამოცემა

საქმეგებარი 2018 წელი

პრეზიდენტი უფასოდ

სოხუმის ფარი თეთრია



ფოტოს ავტორი სერგო ედიშერაშვილი

სახელმწიფოს მიერ ვებარანთა დასახმარებლად შემუშავებულ სოციალურ მომსახურებათა პაკეტი

- 2014 წლიდან – საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მეომრების ოჯახის წევრებისათვის-ყოველთვიური კომპენსაცია 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით
- საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ სამედიცინო მომსახურებათა 100% დაფინანსება
- თბილისში და საქართველოს რიგ სხვა ქალაქებში – საქალაქო ტრანსპორტით ვეტერანების უფასო სარგებლობის შესახებ. ამასთან თბილისში – სამარშუტო ტაქსების ღირებულების დაფინანსება 50 % - ით
- გათავისუფლება სამშენიშნო გადასახადიდან: ვეტერანებისათვის – 3 000 ლარის ფარგლებში,
- ომის ინვალიდებისათვის – 6 000 ლარის ფარგლებში
- ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ ომის მონაწილის გარდაცვალებისას ვეტერანის ოჯახს სამსახურის ბიუჯეტის ასიგნებებიდან ეძლევა ერთჯერადი დახმარება 500 ლარის ოდენობით
- სარიტუალო მომსახურება: ქალაქებში – 350 ლარის,
- რაიონებში – 250 ლარის ფარგლებში
- უფასო განათლება სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში-ომში დაღუპულ მეომართა და მკვეთრად გამოხატული შშმ ვეტერანებისა და მათი შვილებისათვის

გაფორმდა ურთიერთანამშრომლობის მემურანდუმი

1. კლინიკა ლაიონსების თვალის ცენტრი

✓ ვებარანებზე უფასო პირველადი სრული ოფთალმოლოგიური გამოკვლევები

- მხედველობის სიმსხვილის გამოკვლევა (ვიზომეტრია)
- სათვალის შერჩევა
- თვალშიდა წნევის გაზომვა (ტონომეტრია)
- ნაპრალთვანი სანათით დიაგნოსტიკა (ბიომიკროსკოპია)
- თვალის ფსკერის დამთვლიერება და დიაგნოსტიკა
- ოფთალმოლოგიის კონსულტაცია და მკურნალობის დანიშვნა

თბილისი, შრომის ქ. 14 ტელ.: +995 32 224 01 14

2. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა

✓ ვებარანებისათვის სამედიცინო მომსახურება შელაგბათიან ფასებში

- ლაბორატორიული კვლევები
- რეაბილიტაცია
- ენდოსკოპიური კვლევები
- კონსულტაცია

თბილისი, გუდამაყრის ქ. 4 ცხელი ხაზი: +995 32 261 01 01

3. შშმ პირთა სოციალური სარეაბილიტაციო ცენტრი

✓ ამავტორიებული კიდურების ულტრაბინარადროვი პროტეზით უზრუნველყოფა

დიღუბა, ს. კედიას ქ. 7 (+995 32) 2 34 83 79; (+995 32 2) 34 80 47

4. სს ტუბერკულოზისა და ფილტვების დაავადებათა ეროვნული ცენტრი

✓ ვებარანებისათვის სამედიცინო მომსახურება შელაგბათიან ფასებში

- ექიმთა კონსულტაციები
- ფუნქციური გამოკვლევები
- რენტგენოლოგიური კვლევები
- ლაბორატორიული კვლევები
- სამედიცინო მანიპულაციები და ქირურგიული ჩარევა

თბილისი, მარუაშვილის ქ. 50 / (995 32) 291 19 26 / (995 32) 291 02 51
ელ-ფოსტა: tbcenter@tbgeo.ge ვებ-გვერდი: http://www.tbgeo.ge

5. გორის სამხედრო ჰოსპიტალი

✓ ვებარანებსა და მათ ოჯახის წევრებზე სამედიცინო მომსახურება შელაგბათიან ფასებში

- ქირურგია-ტრავმატოლოგია

ქ. გორი, ჭავჭავაძის გამზ. 56 ტელ.: +995 370 27 02 99

6. საქართველოს ორგანიზაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“

✓ ვებარანებისათვის დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა

- ინვალიდის ელ-საგარკძალი
- რამიონებში გავლით სამედიცინო ღონისძიებები (მრავალპროფილური ექიმების კონსულტაცია, სამედიცინო კვლევები, მედიკამენტების გადაცემა)

ქ. თბილისი, თაგარაშვილის ქ. 7 ტელ.: +995 32 299 68 40

7. შ.პ.ს აკად. გ. ჩაფიძის სახ. გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი

✓ ვებარანებსა და მათ ოჯახის წევრებზე უფასო სამედიცინო მომსახურებები წინასწარ დათქმულ დღეებში

- ექიმთა კონსულტაცია
- საჭიროების შემთხვევაში ელექტროკარდიოგრაფია
- საჭიროების შემთხვევაში ექოკარდიოგრაფია

ქ. თბილისი, ნინო ჯაფარიშვილის ქ. 1
ტელ.: +995 32 240 23 01

8. შ.პ.ს სასწავლო-საწყალონო კომპლექსი „ოლიმპიკი“

✓ ვებარანებსა და მათ ოჯახის წევრებზე 50 %-იანი ფასდაკლება საწყალონო მომსახურებებზე

თბილისი, ბერი გაბრიელ სალუის გამზ., კვ. 1, 5ბ.
ტელ.: +995 322 772 773; +995 322 2773 772

ელ.ფოსტა: olympic.tbilisi@yahoo.com
ვებ-გვერდი: <https://www.facebook.com/olympicpoolcomplex/>

9. ქ. თბილისის მერიის გლდანის საცურაო აუზი

✓ ვებარანებსა და მათ ოჯახის წევრებზე 20 %-იანი ფასდაკლება საწყალონო მომსახურებებზე

თბილისი, გლდანი, V მ/რ, კორპ. 8 მიმდ. ტერიტ.
ტელ.: 224 03 04; (568) 23 87 87, (577) 47 11 19

ელ.ფოსტა: swimmingpoolgldani@mail.ru
ვებ-გვერდი: <https://www.facebook.com/gspool.ge/>

10. სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი „არენა“

✓ ვებარანებსა და მათ ოჯახის წევრებზე 20 %-იანი ფასდაკლება საწყალონო მომსახურებებზე

თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა №2
ტელ.: (995 32) 239 02 89; (995 32) 239 17 07





სოხუმი

ერთი ფოტოს ისტორია

დამაყრუებელი სიჩუმე

„ამ ომში მე სახლსაც ვიყავდი“

სატელევიზიო გადაცემა
„სალამო მშვიდობისა“

ფოტოგამბავი

ბაბუ

ოქროს დაბადების დღე

მოხუცი, ყვავილი და სოხუმი

„მე ჩემი სოხუმიდან
სოცხალი არ გავალ“...

„არასოდეს ცხოვრებაში“



ექვნება სოხუმის დასემიდან 25-ე წლისთავს

გამომცემელი:

სსიპ ვეტერანების საქმეთა
სახელმწიფო სამსახური

ნომერზე მუშაობდნენ:

ქეთევან თევზაძე
ნონა შამათავა
მარიამ შიუკაშვილი
თეო ტაბატაძე
ლაურა ახალკაცი

Email: info@veterans.gov.ge

Web: www.veterans.gov.ge

<https://www.facebook.com/veteranebi/>

მის: საქართველო, თბილისი 0114,
გორგასლის შესახვევი #12ა

დაიბეჭდა:

შპს „მაცნე-პრინტი“

მის. თბილისი, ე. მაღალაშვილის ქ. №5

ტელ. +995 568 10 54 67

E-mail: sakmacne@gmail.com

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო
სამსახურის ცხელი ხაზი

2 48 16 26

ყოველდღე 10:00-დან 17:00-მდე
შაბათ-კვირის გარდა



სოხუმი



ფოტოს ავტორი შახ აივაზოვი

სექტემბრის ბოლო დღეებში, ჩვეულებრივ, ყველაზე ხშირად, სოხუმზე მეკითხებიან ხოლმე და ეს უკვე 25-ე წელია, რაც გრძელდება. თითქოს ეს ბუნებრივიცაა: მე ხომ იმ ადამიანთა შორის ვიყავი, ვისაც დღეს სოხუმის ბოლო დამცველებს ეძახიან. თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ რაც წლები გადის, უფრო და უფრო მიმიძიმს ეს თემაც და მეხსიერებაც თანდათან უარს მეუბნება ერთიანი, დალაგებული თხრობის აღდგენაზე. დღეს, ჩემი 70-ე წლის გადასახედიდან, სოხუმზე ორი, ერთმანეთთან მიუბმელი მოგონება სურათებად ედება ერთმანეთს და ხშირად არც ვიცი, რომელი უფრო მნიშვნელოვანი, უფრო ცხადი და უფრო ცოცხალია... ეს მოგონებანიც, რომელიც ცნობიერებაში თითქო პარალელურად, თუმცა ერთდროულად არსებობს, ასევე ფრაგმენტული, დროით გაბუნდოვნებულია და თანდათან მკრთალდება. არ მინდა ვინმემ ისე გაიგოს, თითქოს ომამდელ და ომისდროინდელ სოხუმს ვადარებდე. არა. ის ფრაგმენტები, რომელსაც მეხსიერება კიდე ეჭიდება და ენანება დასავინყებლად, ჩემი დროში შორს დარჩენილი ბავშვობის სურათებია, რომლებსაც ჩემთვის ყველაზე მძიმე ომის სურათები ედება. ეს არ არის ომამდელი და ომისდროინდელი სოხუმის დადარება. ეს ბავშვური თვალებით დანახული სამყაროს რღვევაა, როდესაც ადამიანი ცხოვრების გზაზე გადის მანძილს ანგელოზიდან ჯარისკაცამდე. მანძილს, რომელიც არც ახლოა, არც ახალი და მაინც – რთულად სასიარულო.

ერთი კია, რაც დრო გადის, ბავშვობის ფრაგმენტები უფრო და უფრო აბსტრაქტული ხდება და მიტოვებს მხოლოდ ფერებს და დედის ღიმის. სოხუმის ფერი თეთრია, ალბათ, მაგნოლია რომაა თეთრი, იმიტომ. არა მგონია, ეს განცდა რამემ გადამიფაროს...

კინდღში ვართ. წინა დღეს ჩაიშალა შეტევა: გზა ვერ გავხსენით და ზარალიც ვნახეთ. დილით რადიოკავშირი მქონდა ყარყარაშვილთან, რომელმაც მითხრა, რომ მის მისვლამდე არავის ბრძანებას არ დავმორჩილებოდი და მას დავლოდებოდი. გამიკვირდა, ვინაიდან ის სოხუმში იყო და როგორ უნდა მოსულიყო? თუმცა დალოდება ვარჩიე.

სამი-ოთხი საათის შემდეგ მართლაც გამოჩნდა: კოდორზე ფონი ნახა და „თეთრი არნივის“ ბიჭებთან ერთად გამოვიდნენ. მისი ჩანაფიქრი იყო ამავე ფონით შევსულიყავით სოხუმში, მაგრამ იქ არსებული დაჯგუფებიდან მხოლოდ 300-დე აღმოჩნდა ენთუზიასტი ჩვენი ბრიგადიდან და „ავლანელები“. დიდხანს ეწყობოდა კოლონა, ვიდრე დავიძრობოდი. დანარჩენები? დაგვემშვიდობნენ, ასე იყო... ყველა სხვა ფრაგმენტიდან, რომელსაც მეხსიერება ინახავს, ეს ყველაზე მკაფიოდ ჩამრჩა, ალბათ, იმ სიტყვის გამო, რომელიც მაშინ ერთ-ერთმა ოფიცერმა მითხრა: იცი, რა? მე ხაფანგში თავს არ შევყოფ, ან შენ რა გინდა? რატომ შედიხარ? ცოტა დავილუბეთ? იმ დღეს მეორედ გამიკვირდა. არაფერი ვუთხარი. არც გიას ვუთხარი მაშინ არაფერი, როდესაც მოიკითხა სად არიო? ვერ ვნახე – მეთქი...



დავით თევზაძე თანამებრძოლებთან ერთად, აფხაზეთი, 1993 წ.

დღეს, ამდენი წლის შემდეგ, მგონია ვიცი პასუხი იმ კითხვაზე, რომელმაც მაშინ გამაკვირვა: შევდიოდი იმიტომ, რომ ბოლომდე უნდა გამეწვო გზა ანგელოზიდან ჯარისკაცამდე და ჯარისკაცად ჩემი დაბადების ადგილად ღმერთმა ისევ სოხუმი ამირჩია... დაბადება კი ყოველთვის ტკივილიანია..., ვიცი.

დავით თევზაძე, გენერალ-ლეიტენანტი



ერთი ფოტოს ისტორია

სერგო ედიშერაშვილი – პირველი ფოტო 14 წლისა გადაიღო. ზუსტად 20 წლის შემდეგ ბატონი სერგო მსოფლიოს 100 საუკეთესო ფოტორეპორტიორთა შორის დასახელდა.

მას უმუშავია „როიტერში“, „ასოშიეიტედ პრესში“ და უთანამშრომლია მსოფლიოს მრავალ გამოცემასთან. სერგო ედიშერაშვილი ედუარდ შევარდნაძის პირადი ფოტოგრაფიც იყო. მისი ფოტოარქივი საქართველოს მეორე პრეზიდენტის 6 ათასამდე ფოტოს ინახავს. ასევე გადაღებული აქვს ჩეჩნეთის, მთიანი ყარაბაღის, აფხაზეთის საომარი მოქმედებები. ფოტოხელოვანს 12 ფოტო-ალბომი აქვს გამოცემული. უცხოეთში არაერთი პერსონალური და ჯგუფური გამოფენის ავტორია, საქართველოში კი მისი პირველი გამოფენა „ქოლგა“ „თბილისის ფოტო – 2016“-ის ფარგლებში მოეწყო.

ბატონ სერგოს ალლო არასდროს ღალატობს თუ როდის გააჩეროს კადრი, რომ ნანახით განცდილი ემოცია ზუსტად აღბეჭდოს ფირზე, ჩვენამდე მოიტანოს და ამ ემოციის თანამონაწილედ გვაქციოს. ეს გრძელდება თითქმის ოთხი ათეული წელია.

შავ-თეთრი ფოტოები გამორჩეულად უყვარს. თვლის, რომ ფოტოგრაფია შუქი და ჩრდილია და ფოტოში ფერის არსებობა ხშირად არ არის საჭირო. ახსოვს ყველა ფოტოს გადაღება და თვალს როცა ხუჭავს, ყველა კადრი ცოცხლდება, ყველა გამოსხედა....

– ბატონო სერგო ერთ-ერთი ბოლო კადრი თქვენ გადაიღეთ სოხუმის დაცემამდე 2 დღით ადრე, თქვენმა კამერამ ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული მომენტი შემოგვინახა...

„მე სოხუმს არ მივაბოჟე“

ჟიული შარტავა...

– ფოტოგრაფები სხვის ომში მიდიან გადასაღებად და ჩემს ომში როგორ არ წავიდოდი! ომი ისედაც საშინელებაა და ჩემს ომებს რომ ვიღებდი, კიდეც უფრო საშინელი...იმ დღეებში სოხუმში მე ვახლდი საქართველოს მეორე პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს. გული მწყდება, რომ ხშირად არ მიწევდა ფრონტის წინა ხაზზე გასვლა.

იმ დღეს ჟიული გამოვიდა მინისტრთა კაბინეტის შენობიდან, სახეზე ეწერა უდრეკი სული, ამასთან, დარდით აღსავსე იყო... მოვახერხე, დავიჭირე ჟიულის ხასიათი... – მე არ ვიცი,


სამშობლოს ზუსტად რაოდენ და როგორ სიყვარულს გულისხმობს სიტყვა პატრიოტიზმი, მაგრამ ნამდვილად ვიცი, ჟიული შარტავა თავისი ქვეყნის უდიდესი პატრიოტი იყო...მასთან ყოველთვის მქონდა საქმიანი ურთიერთობა, არასოდეს უთქვამს უარი საერთო საქმისთვის. ჩემთვის ჟიული შარტავა იყო მაგალითი კაცობის, საქმისადმი ერთგული ადამიანის...მამაცი კაცი იყო ჟიული..

სურათის სათაურიც თავისით მოვიდა... „მე სოხუმს არ მივაბოჟე...“

მსოფლიო მაქვს მოვლილი და აფხაზეთისნაირი განუყოფელი, ლამაზი მხარე მე პირადად არ მინახავს, აფხაზეთი არის ფერების პალიტრა...მარტო რინის ტბა რად ღირს. აფხაზეთი დღემდე მიყვარს, დღემდე ვფიქრობ, დღესაც ვაგრძელებ საქართველოს თემატიკაზე მუშაობას და უკვე ჩემი მე-12 წიგნი გამოვეცი. თითოეულ წიგნში ადრე გადაღებული სურათების სერია მაქვს აფხაზეთის თემაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ასაკში ვარ, მოქმედი ფოტოგრაფი ვარ და სიამოვნებით ჩავიდოდი და გადავიღებდი მშვიდობიან აფხაზეთს თავისი ხალხით....

ესაუბრა ნონა შამათავა



დააყრუებული სიჩუმე




მე ჟურნალისტი არ ვარ, არც წერაა ჩემი პროფესია. უბრალოდ, გარემოებებმა მოიტანა ამის საჭიროება. ზოგადად, არ მიყვარს იმ საქმის კეთება, რაც ზედმინუვით კარგად არ ვიცი და ამიტომაც ძალიან დაძაბული მივდიოდი რესპოდენტთან. ჩემი რესპოდენტი კი პროფესიით ჟურნალისტი, წლების განმავლობაში სამხედრო ჟურნალისტად მუშაობდა ყველა ცხელ წერტილში – საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ, თუმცა ომი მის ცხოვრებაში ბევრად ადრე დაიწყო და ამ ომის ფრონტის ხაზი მის სახლზეც გავიდა.

დათო კაკულია გაგრელია. 92-ში 6 წლის იყო. მის ქალაქში ტანკები და ჯარისკაცები ილუზიონში ნანახი გაცოცხლებული ფილმი ეგონა, სადაც „ჩვენიანები“ ყოველთვის იგებდნენ, თუმცა ეს დიდი ხანი არ გაგრძელებულა – ჯერ ძმა წავიდა მოხალისედ, მერე მამა – ქალაქის დამცველთა რიგებში. იყო ტყვეობა, მათი დახვრეტის შიში, იყო მეზობლების მიერ მოლაღატედ შერაცხვა, იყო სარდაფში დამალული იარაღი და დედა... მაგრამ ამაზე მოგვიანებით.

დათოს სიჩუმე არ უყვარს – დამარცხებულ გაგრასთან ასოცირდება და იმიტომ. ზოგისთვის ომი ხმაურია, ტყვიების ზუზუნია თუ არტილერიის გუგუნია. თუმცა 6 წლის ბავშვს სწორედ ამ სიჩუმემ მიახვედრა, რომ რაც გარშემო ხდებოდა, კინო არ იყო, რაღაც საშინელება მოხდა, რამაც

ყველაფერი შეცვალა და არაფერი იქნებოდა ისევ ისე, როგორც მანამდე. 2 ოქტომბერს გაგრა დაეცა. „ეს იყო იდეალური სიჩუმე, თითქოს ყველაფერმა დაიძინა და გაყინვა უნდოდა, რომ ისევ ისე დარჩენილიყო“, – მითხრა საუბარში და ჟურნალისტის გამოწვრთბილ მზერაში მაინც გაეპარა უნაპირო ტკივილი. ომი მეც მინახავს, თუმცა არა ჩემს სახლში და არც 6 წლისას. მეც მახსოვს ეს სიჩუმე ბრძოლის შემდეგ და მივხვდი, რამდენად ძნელი იყო მისთვის ამაზე საუბარი – რამდენად გულწრფელი და მართალი სიტყვები მითხრა და შემძრა.

დათოს სახლი, სამხედროების ენაზე რომ ვთქვათ, ტაქტიკურად ხელსაყრელ ადგილას მდებარეობდა, სწორედ ამიტომ მათ სარდაფში ინახებოდა იარაღი, რომელიც პოზიციებზე გაჰქონდათ. „ჩვენ სახლში იარაღი იყო, ბუნებრივია...“ – და ახლა ცოტა სიამაყე დავიჭირე მის თვალეში. გაგრის დაცემის შემდეგ ეს იარაღი დედამ „მოიშორა“. დედას ომი ერთხელ გამოვლილი ჰქონდა, დაბომბილი სოხუმშიც ახსოვს, უბრალოდ მაშინ ფაშისტური გერმანია ბომბავდა საბჭოთა სოხუმს. ახლაც მიხვდა, რომ კარგი არაფერი ხდებოდა. ტყვიები და ხელყუმბარები საკანალიზაციო მიწებში ჩაყარა, თუმცა რამდენიმე მაინც დაიტოვა. „მათ შორის ორი მომცა ხელში და მითხრა: „შვილო, ტკივილს ვერ იგრძნობ“. გონებაში დავატრიალე სცენა – მეც მყავს



შვილები. მერე შევეცადე გამეხსენებინა ჩემი ბავშვობა და მიუხედავად იმისა, რომ ექვსი წლისაც კი ჯარისკაცობაზე ვოცნებობდი, მაინც ვერ მივხვდი, ორგანიზმის რომელი უჯრედებიდან მოიკრიფა ამ ბავშვმა ამდენი ნებისყოფა და დისციპლინა, უსიტყვოდ დაუჯერა დედას და, სარდაფში ჩუმად მჯდომი, საჰაერო ჭრილიდან უყურებდა, რა ხდებოდა მის სახლში. ახსოვს „ჩამოძონძილი მოროდორების“ გაძარცვული გაგრა, ისიც ახსოვს, რომ გაგრელი და სოხუმელი აფხაზები საძარცვავად არ შესულან. ისიც ახსოვს, როგორ უთხრა დედამ შემოსულ „ბოევიკებს“ – ქართველები ვართო და მას და თვითგადარჩენის ინსტიქტს „აბრალებს“ იმას, რომ არც უტირია, თორემ თავი მაგარი სულაც არ ჰგონია. ისიც ახსოვს, როგორ გადაარჩინა დახვრეტას შესახლებული აფხაზი მეომრის ქვრივმა. მისი მეხსიერება ინახავს ამბებს ხიდის ქვეშ დახვრეტილ და ზღვაში გადაყრილ ადამიანებზე, დამწვარ მეზობლებზე და ალბათ კიდევ ბევრზე. ბევრ ამბავზე, და ჰო, კიდევ იმაზე, თუ როგორ იცხოვრა გაგრაში ერთი წელი ტყვედ საკუთარ სახლში.

ერთი წლის შემდეგ დათო მეზობელმა, ეთნიკურად სომეხმა ქალბატონმა, დათოსხელა შვილის დაბადების მონობით გადაიყვანა ენგურზე. დედა ჩუმად მიჰყევოდა უკან თურმე. ხიდზე, საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე მეზობლის ბიჭის სახელი სწორად თქვა, მაგრამ ალბათ არც თუ ისე დამაჯერებლად და აფხაზმა ჯარისკაცმა უკან დაბრუნება მოსთხოვა. რუსმა მშვიდობისმყოფელმა არ დააბრუნა, ხიდს აქეთ კი და ელოდებოდა.

ალბათ, გამოცდილი ჟურნალისტი ჩაეკითხებოდა და ჰკითხავდა, როდის გადმოვიდა დედა, სად იყვნენ ამ დროს მისი ძმა და მამა, როგორ დაუკავშირდნენ დას ოკუპირებული აფხაზეთიდან, მაგრამ მე ხომ ჟურნალისტი არ ვარ, მით უმეტეს, არც გამოცდილი და ალბათ, რომც ვიყო, მაინც ვერ მოვიბრუნებდი სუნთქვას შეკითხვის დასასმელად...და საერთოდაც, ეს ხომ ცალკე ამბავია მოსაყოლად.

გაგრის შემდეგ იყო დმანისი, დასთან ცხოვრობდა. შემდეგ ფოთი – ისევ დასთან. „ჩვენ ექვსნი ვართ“, გეტყვით ისეთივე სიამაყით. დიდი ხანი იარაღიანი ხალხის ეშინოდა და ოდნავ დარცხვენილი ამბობს, რომ უნივერსიტეტის სამხედრო კათედრის გავლისას, ავტომატის დაშლა-ანეობისას, „სამიანი“ გამოჰყვა. თუმცა მერე ყველაფერი სამხედრო შეუყვარდა და პარტიზანობაზეც უფიქრია. აქ მეც გამეღიმა, მივხვდი, რომ ყველაზე საშინელმა ამ საუბარში ჩაიარა.

ბავშვობაში ალბათ ბევრს გაგვიგია საყვედურივით ნათქვამი „შენ ომი არ გინახავს“, ჰოდა ვნახეთ. ომების შედარება ალბათ სწორი არ არის, მაგრამ მე მაინც შევადარებ: იყო ასეთი სიმღერა საბჭოთა კავშირში – „Мой адрес – не дом и не улица, мой адрес – Советский Союз“, მღეროდა „სამოცვეტი“. აფხაზეთის ომში, მეორე მსოფლიო ომისგან განსხვავებით, ეს მისამართი ძალიან კონკრეტული



იყო – აი, ასეთი ომი ვნახეთ ჩვენ. დათოს აფხაზეთი არ ტკივა იმიტომ, რომ არ ჰგონია, რომ სამუდამოდ დაკარგა, ძალიან ენატრება. ზუსტად იცის, რომ დაბრუნდება, უბრალოდ არ იცის, როგორ და როდის და მისი წილი საქართველოს მისამართი გაგრაა, კომაროვოს 36, ტელეფონის ნომრით 4-08-48.

P.S. დიდი ხანი ვიფიქრე, როგორ უნდა გადმომეცა დათოსთან საუბარი, გონებაში ამოვატივტივე ყველა ჟურნალი, რაც ბოლო დროს წამიკითხავს, ვკითხე ხალხს, ვისაც უნერია და ბოლოს გადავწყვიტე, რომ უბრალოდ, მართალი ვყოფილიყავი და ის შთაბეჭდილება დამენერა, რაც ამ საუბარმა დამიბოვა. ჩანანერს ხელმეორედ მოვუსმინე და საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. დანარჩენი კი, მკითხველო, თავად განსაჯე.

მომზადა ქეთევან თევზაძემ



„ამ ომში მე სახლსაც ვიცავდი“



ჯანდრი უბირიას სამსახურში გავესაუბრეთ – ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში. მისი ომი ჯერ არ დამთავრებულა და იმ ადამიანებთან ყოველდღიური ურთიერთობა, ვინც მასთან ერთად იბრძოდა, იმ ტკივილს, რომელსაც აფხაზეთი ჰქვია, ბოლომდე შეხორცების საშუალებას არ აძლევს. ვთხოვეთ, რამდენიმე ფოტო მოეცა ჟურნალისტისთვის, თუმცა, როგორც თითქმის ყველა ჩვენს რესპოდენტს აფხაზეთიდან, წარსულის ამსახველი ფოტოები არც ბატონ ჯანდრის აქვს – იქ, დამრჩა, სახლში, – გეტყვით ჩვეული სიმშვიდით და ამის შემდეგ უფრო ძნელია, შეკითხვა დაუსვა იმაზე, თუ როგორია ომი, ომს დარჩა ყველაფერი ძვირფასი, მათ შორის ბავშვობის მოგონებებიც.

ომი 14 აგვისტოს დაიწყო

ჩემთვის, პირადად ომი 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო. თითქოს ჩვეულებრივი დღე უნდა გათენებულიყო, მეგობრები შეკრებას ვაპირებდით და უცებ ამბავი მოვიდა, რომ შეტაკებები ყოფილა ბესლახუბასთან, ქალაქის შემოვლით გზაზე. მყისიერად, მოხალისე ადამიანების მიერ, შეიქმნა ადგილობრივი ბატალიონები და აქტიურად ჩავერთეთ ბრძოლებში.

ამ ომში მე სახლსაც ვიცავდი

სამშობლოს დაცვა და საკუთარი სახლის დაცვა – ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით – ჩემთვის ერთი და იგივეს ნიშნავდა.


ყველაზე მძიმე გასახსენებელი სოფელ მერკულაში ორი ძმის ისტორიაა. ორივე ერთსა და იმავე მიმართულებაზე იბრძოდა, ერთ-ერთი ძმა დაიღუპა და მეორემ მისი გამოყვანა ვერ მოახერხა, იმდენად მძიმე შემოტევა და ბრძოლები იყო.

ჩვენ დავკარგეთ აფხაზეთი და მთელი ის მსხვერპლი, რაც ჩვენ გავიღეთ უამრავი დაღუპულის სახით, თითქოს ამოა აღმოჩნდა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ომი მეომრებს არ წაუგიათ, იყო არაერთი სხვადასხვა სახის ხელმოწერა, შეთანხმება, რამაც გამოიწვია გაგრის დაცემა, შემდგომ სოხუმისაც.

პირველ დესანტს, რომელიც ნოემბერში გადმოსხეს, ქალაქ ოჩამჩირეზე შემოტევას ვგულისმობ, შესაძლოა ქალაქის დაკარგვა მოჰყოლოდა, რომ არა ქართველი მეომრების თავგანწირვა. ოჩამჩირეს დაკარგვით, მაშინვე ალბათ დავკარგავდით მთელს აფხაზეთს, ვინაიდან ეს იყო ერთადერთი გზა, ზღვას არ ვგულისმობ, დამაკავშირებელი სოხუმსა და დანარჩენ საქართველოს შორის.

თანამებრძოლები

თანამებრძოლები არიან ის ადამიანები, ვისთან ერთადაც მიდიხარ ბრძოლაში და ერთი ნამიც არ ფიქრობ იმაზე, რომ თუ დაიჭრები ან რაიმე მოხდა, ვინმე მიგატოვებს და დარჩები ბრძოლის ველზე. თანამებრძოლი შენი ოჯახის წევრია, ეს არის ის ადამიანი, ვისი იმედიც ხარ ბრძოლაში. ბევრი თანამებრძოლი მყავდა. სამწუხაროდ,



ფოტოს ავტორები: ბორის სოკოლოვი, ივანე შლამოვი





ფოტოს ავტორი გოგი ცაგარელი

მათ შორის არიან დაღუპულებიც. ვინმე რომ არ გამომჩინეს მე გვარებს არ ჩამოვთვლი, თუმცა მინდა გითხრათ, რომ ძალიან ღირსეული მეომრები ჰყავს საქართველოს და ეს ადამიანები ყოველთვის არიან მზად, დაიცვან თავიანთი სამშობლო სიცოცხლის ფასადაც კი.

ფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა ყოფილიყო ერთიანი,ყოფილიყო ძლიერი და კაცურად და ვაჟკაცურად იტანდნენ ყველა ტკივილს, გვერდში მდგომის დაღუპვას თუ დაჭრას, ღირსეულად იცავდნენ თავიანთ სამშობლოს.

საქართველოში სოხუმი დაესა...

სექტემბერში მე აფხაზეთში აღარ ვიყავი. ჩემთვის პირადად ომი დამთავრდა ცოტა ადრე, ვიდრე აფხაზეთი დაეცა. 1993 წლის 7 ივნისს დავიჭერი, ნალმზე ავფეთქდი მებრძოლთა ჯგუფთან ერთად, თუმცა გადავრჩი და ძალიან აქტიურად ვადევნებდი თვალყურს პროცესებს – თითქმის ყოველდღიური კავშირი მქონდა ბრიგადასთან და ოფიცრებთან. ჩემთვის ყველაზე მტკივნეული და ყველაზე ცუდი იყო არა ის, რომ დავკარგე კიდური, არამედ ის, რომ ჩვენ დავკარგეთ აფხაზეთი და მიჭირს ამ ყველაფერზე საუბარი. ძალიან ბევრი რამ არ არის ნათქვამი, ღირსეული ადამიანების ისტორიები, რომლის შესახებ ნაკლებად არის ცნობილი. ესენი არიან ჩვეულებრივი ადამიანები, არანაირი თანამდებობის მქონე, რიგითი მებრძოლები,ადამიანები, რომლებიც ნამდვილად ყველა-

როგორ გაგრძელდა ცხოვრება ომის შემდეგ?

ძალიან დიდხანს, რამოდენიმე წელი ვცხოვრობდით იმედით, რომ სვალ ან ზეგ ჩვენ უნდა დავბრუნდეთ აფხაზეთში, ძალიან ბევრისთვის ცხოვრების აზრი იყო იქ დაბრუნება.

ეს არ მოხდა და ჩვენ დავინწყეთ ჩვეულებრივად ცხოვრება, გავიარეთ ყველა ის პრობლემური გზა, რაც ჩვენს ქვეყანაში იყო მაშინ და მინდა გითხრათ, ეს გზა რთული იყო.

ჩვენ გვიჭირდა და გვიჭირს ახლაც აფხაზეთის გარეშე. ცხოვრება გრძელდება და ვცდილობ, ყველაფერი გავაკეთო იმისთვის, რომ იმ ადამიანების ამბები, რომლებმაც სიცოცხლე გაიღეს ამ ომში, დავინწყებას არ მიეცეს...

ჩემი აფხაზეთი დღეს მათზე მოგონებებია...

ესაუბრა მარიამ შიუკაშვილი

საბელაქიოზიო გაცემა „სალამო მშვიდობისა“



ომის შესახებ ზუსტად იმდენი ამბავი იცის სამოქალაქო მოსახლეობამ, რამდენსაც ჟურნალისტი მიაწვდის. სწორედ ეს გახდა მიზეზი, ჟურნალის ვრცელი ნაწილი ამ სფეროს წარმომადგენლებისთვის დაგვეთმო. ამ ადამიანებმა თავიანთ კადრებსა თუ სიტყვებში დრო დაიჭირეს და ისტორია, რომელიც ადრე მხოლოდ ფურცელზე იწერებოდა, კადრებად შემოუნახეს თაობებს.

„სალამო მშვიდობისას“ შემოქმედებითი ჯგუფი რადიოს გადაცემა „პიკის საათის“ ბაზაზე ჩამოყალიბდა, როგორც შემოქმედებითი-გასართობი პროგრამა. იყო ბევრი მუსიკალური ნომრები და საინტერესო ამბები. გადაცემა თვეში ერთხელ, ერთსაათიანი ქრონომეტრაჟით გადიოდა ეთერში. თუმცა ამ ფორმატით, როგორც ჩანს, დიდხანს არ ეწერა არსებობა. იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, შემდეგ – „მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველო“, რომლის ხელისუფლებაში მოსვლას გადაცემის დახურვა მოჰყვა და შემდეგ იყო ჩემთვის, როგორც ჟურნალისტისთვის, მთელი ათეული საინტერესო წლები.

ნანა ჯაფარიძე, მამუკა არეშიძე, გოგა ჭყონია, მალხაზ ჩუტკერაშვილი, ლაშა კოტრიკაძე, თემურ კვირკველია, ეკა გამცემლიძე, ეკა ერიქაშვილი, ქეთი კაპანაძე, თეა სხიერელი, ლია დავლიანიძე, გურამ გორელიშვილი, მამუკა მუჩიაშვილი, ბესო რობაქიძე. ეს ის გუნდია, რომელიც დღე და ღამე, ტელევიზიის მესამე სართულზე, ერთ დიდ ოთახში, რომელსაც საპროექტორო ერქვა, ვმუშაობდით და იქვე ვცხოვრობდით. არ მახსოვს რამდენს შეადგენდა ჩვენი ხელფასი, ან რა იყო ჰონორარი. სახლებიდან მოტანილ კასეტებზე ვიღებდით მასალას და ვანყოფნით გადაცემებს, რასაც ბევრი ჩვენი საყვარელი ფილმი შეენირა. ვიცოდით ერთი რამ – ყოველ საღამოს 10 საათზე საზოგადოება „სალამო მშვიდობისას“ ელოდებოდა.

1992 წლის 14 აგვისტოს, როდესაც შინაგანმა ჯარებმა ზუგდიდი-გალის საზღვარი გადაკვეთეს, ჩვენი ჟურნალისტი, თემურ კვირკველია მათთან ერთად მოხვდა შეიარაღებული დაპირისპირების მომსწრე და პირველი კადრებიც სწორედ „სალამო მშვიდობისას“ ეთერით ნახა მაყურებელმა.

18 აგვისტოს, ჯერკიდევ ტურისტებით სავსე სოხუმში, ვლადისლავ არძინბამ ტელევიზიით საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა, რასაც პანიკა მოჰყვა. იმავე დღეს სამთავრობო დელეგაციასთან ერთად მე და ეკა გამცემლიძე სოხუმში ჩავფრინდით. ეს იყო საკმაოდ რთული და დატვირთული დღე, რადგან ოპერატორობას და ჟურნალისტობას რიგრიგობით ვითავსებდით. ვიღებდით ყვე-

ლაფერს, გაქცეულ ტურისტებს, რომლებიც სხვადასხვა საშუალებებით ტოვებდნენ ქალაქს, მძიმე ტექნიკას და სამხედრო შენაერთებს, რომლებიც უკვე სტრატეგიულ ობიექტებს იკავებდნენ, ე.წ. სამთავრობო აგარაკზე მიმდინარე თათბირს, საიდანაც თენგიზ სიგუა ტელეფონით მოსკოვს უკავშირდებოდა და ცდილობდა სიტუაციის განმუხტვას. ამ დროს დარბაზში შემოდის გვარდიელი, რომელიც პატაკს აბარებს, რომ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს შენობა დატოვებს არძინბას მომხრეებმა და საბჭოს თავზე საქართველოს შინდისფერი დროშა აფრიალდა. ვიღებთ როგორ ანაწილებს გია ყარყარაშვილი გვარდიელებს. ეს იყო უწყვეტი კადრები ცხელი წერტილიდან, რომელიც იმ საღამოს ნახა მაყურებელმა. პოზიციებზე განაწილების გადაღებისას კამერის ობიექტივით მსახიობ ლევან აბაშიძეს და ჩემს მეგობარს სულხან სულხანიშვილს გადავანწყდი. ძალიან მთხოვეს, ჩვენებმა არ იციან და არ გვაჩვენო ტელევიზიით, მეც თხოვნა შევუსრულე და არ გადავიღე. სამწუხაროდ, ეს ჩვენი ბოლო შეხვედრა იყო, რადგან იმ ღამით ორივე დაიღუპა.

აფხაზეთში, პირველივე დღიდან, ყველაზე აქტიურად „სალამო მშვიდობისას“ ჟურნალისტები და ოპერატორები ვმუშაობდით. გადაცემის ავტორიტეტიდან გამომდინარე, ჩვენთვის ყოველთვის იყო ადგილი თვითმფრინავში, რომლითაც მეომრები მიემგზავრებოდნენ, ყოველთვის გვქონდა მეომრებთან ერთად წინა ხაზზე გასვლის და ყველაზე ცხელი კადრების გადაღების საშუალება. მამუკა არეშიძე პირადად მონაწილეობდა ტყვეების ან დაღუპული მეომრების გაცვლის მოლაპარაკებებში. ვესწრებოდით სამხედრო თათბირებს და მათთან ერთად ვწყვეტდით ჟურნალისტის ადგილს ამა თუ იმ სპეცოპერაციისას – რა უნდა გვეთქვა გადაცემის ეთერიდან საზოგადოებისთვის და რა არა. ჩვენ არ ვეძებდით სკანდალს და ექსკლუზივს. ალბათ ამიტომაც გვენდობოდნენ.

სოხუმის ტელევიზიამ, საქართველოს ცენტრალური ტელევიზიის დახმარებით, მაუწყებლობა აღადგინა, ახლა უფრო გაგვიადვილდა მასალის გამოგზავნა. თუ ადრე თვითმფრინავით კასეტებს ვაგზავნიდით, ახლა უფრო ოპერატიულად შეგვეძლო სიუჟეტების მიწოდება თბილისისთვის გამაცემი ხაზების, ე.წ. „პერეგონის“ საშუალებით.

მახსოვს, დილით ადრე, გადაცემა „ალიონს“, რომელსაც თამარ ცაგარეიშვილი უძღვებოდა, სოხუმის ტელევიზიიდან პირდაპირ ეთერში ჩავერთე. წინა საღამოს მე, სოსო ტყეშელაშვილმა და თამაზ პაიჭაძემ სახელდახლოდ მოვანყეთ სტუდია და ღამეც ტელევიზიაში გავათიეთ, საგანგებო მდგომარეობის გამო. ეს იყო პირველი და უკანასკნელი სატელევიზიო ხიდი სოხუმი-თბილისი. მაღლობა ყველა ჟურნალისტს, ოპერატორს და ტექნიკურ პერსონალს, რომლებიც სოხუმის ტელევიზიაში მუშაობდნენ და უზარმაზარი სურვილი ამოძრავებდათ ეკეთებინათ საქმე. ვინერდით, როგორ უთვლიდნენ ოჯახის წევრებს მოკითხვას ჯარისკაცები პოზიციებიდან. ეს იყო მათი ოჯახთან კავ-

შირის საშუალება, რადგან იცოდნენ, რომ ყოველ საღამოს „სალამო მშვიდობისა“ მათ კადრებს აჩვენებდა.

რედაქციაში მოდიოდნენ მშობლები, ნაცნობ-მეგობრები და კადრებში თავიანთ ახლობლებს ეძებდნენ.

ერთმანეთს ვცვლიდით სხვადასხვა წერტილებში, მე, მამუკა არეშიძე, გოგა ჭყონია, გრიშა დოლოგოპოლოვი, თეა სხიერელი. გვარდიის და მხედრიონის დახმარებით ყოველთვის საინტერესო კადრებს ვიღებდით. ვცდილობდით, სამხედრო თვალსაზრისით, მათთვის ზიანი არ მიგვეყენებინა“.

90-იან წლების საქართველოს სატელევიზიო სივრცეში „სალამო მშვიდობისა“ იყო ერთადერთი გადაცემა, რომელიც ამ თემატიკას აშუქებდა. ჩვენს გადაღებულ კადრებს ვაძლევდით „მომამბეს“ და სხვა საინფორმაციო გადაცემებს. გამოგვიჩვენენ მოხალისე კორესპონდენტები, რომელებსაც ჟურნალისტური გამოცდილება არა, მაგრამ უზარმაზარი სურვილი ჰქონდათ, რომ კადრებში გადაეტანათ ის, რასაც თვითონ ხედავდნენ და განიცდიდნენ. ასე გახდა „სალამო მშვიდობისას“ კორესპონდენტი ირინა გოსაშვილი, რომელმაც ძალიან ბევრი კარგი კადრი აჩუქა ჩვენს გადაცემას.

ჩვენი ოპერატორის და რეჟისორის გოგა ჭყონიას დოკუმენტური ფილმი აფხაზეთზე სოხუმის დაცემის დღე-

საა გადაღებული. ამ ფილმმა მაყურებელი შოკში ჩააგდო, რადგან ეს იყო მართლაც უწყვეტი კადრი, თუ როგორ მიდიან ბიჭები წინა ხაზზე, როგორ ექცევიან ალყაში, როგორ ილუპება გოგას გვერდით მდგომი მეომარი სვანი ბიჭი სნაიპერის ნასროლი ტყვიით. სოხუმის დაცემის დღეს გოგა იქ იყო. ამ დღეს მე ჭუბერში ჩავფრინდი. ვიღებდი, როგორ გადმოდიოდნენ უღელტეხილზე დევნილები. ერთ-ერთი გადაღებისას, როდესაც უკან ვბრუნდებოდით, ორი ვერტმფრენით მე და ჩემი ოპერატორი გრიშა დოლოგოპოლოვი გავიყავით. მე ერთი კამერით წავეყვი ვერტმფრენს, გრიშკა – მეორეს. ჰაერში აწევსას მისმა ვერტმფრენმა კონტროლი დაკარგა, ჩამოვარდა და აფეთქდა.

11 ჟურნალისტი დაიღუპა ამ ომში. „სალამო მშვიდობისამ“ დაკარგა გრიშკა დოლოგოპოლოვი და საშა იოსელიანი, რომლის ბოლო კადრი დღემდე ყველას ახსოვს – მხარზე ვიდევოკამერით და ხელში ავტომატით.

თამარ დეკანოსიძე, ჟურნალისტი, ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენოსანი



ფოტოაგაზი



ფოტოს ავტორი ვლადიმერ ვალიშვილი



ფოტოს ავტორი ირაკლი გედენიძე



ფოტოს ავტორი სერგო ედიშერაშვილი



ფოტოს ავტორი გოგი ცაგარელი



ფოტოს ავტორი გოგა შარაშენიძე



ფოტოს ავტორი შახ აივაზოვი



ფოტოს ავტორი გოგი ცაგარელი



ფოტოს ავტორი გოგი ცაგარელი



ფოტოს ავტორი გურამ მგალობლიშვილი



ფოტოს ავტორი შახ აივაზოვი



ფოტოს ავტორი გოგა შარაშენიძე



ფოტოს ავტორი გოგი ცაგარელი

ბაბუ

ქართულ ტელევიზორცეში, ალბათ, ძალიან ცოტაა წარმატებული ჟურნალისტი, ვისაც „ბაბუს სკოლა“ არ გაუვლია. ბაბუ ანუ ამირან მურვანიძე ტელეოპერატორია და დაახლოებით იმდენი წლის სამუშაო გამოცდილება აქვს, რამდენისაც მე ვარ. ბაბუს ბევრი ომი აქვს ნანახი, ბევრი ქართველი ჯარისკაცი ავღანეთშიც, ერაყშიც და საქართველოშიც, თუმცა თავისთვის ყველაზე მძიმე კადრი ომის შემდეგ აქვს გადაღებული. არასოდეს ადის სამონტაჟოში იმის სანახავად, რა გადაიღო – ზუსტად იცის, რომ უსაყვდურებს საკუთარ თავს. მისი გადაღებულია ცნობილი კადრები იმ ვერტმფრენში, რომელშიც მთავარსარდალი იჯდა და რომლის ჩამოგდებასაც ცდილობდნენ. მერე დიდხანს ამტკიცებდა, რომ არაფერი იცოდა და შემთხვევით გადაიღო უბრალოდ კარგი კადრი. მოკლედ, ამირან ბაბუზე ბევრის თქმა შეიძლება – ყოველთვის გილიმის და მისი ეს განწყობა საოცრად გადამდებია. გარდა პროფესიონალიზმისა, ბაბუ თავმდაბლობითაც გამოირჩევა და თავის თავზე ცოტას საუბრობს. უფრო მეტს და დიდი სიყვარულით კი თავის გადაღებულ კადრებზე გვიყვება – კადრებზე, რომელმაც ისტორია შემოინახა.

როდესაც ვკითხეთ, საიდან მოაქვს ამდენი ძალა, ენერგია ამ ურთულეს წუთებში, გვიპასუხა – მთავარი სამშობლოს და საქმის სიყვარულია.

შეკითხვის დასმა, როგორც რესპოდენტისთვის, ძალიან ძნელი აღმოჩნდა. ახალი ამბების ოპერატორმა ყველაზე კარგად იცის, რა უნდა თქვას და როდის, ამიტომაც, ყველა შეკითხვას ისე უპასუხა, მათი დასმაც არ მაცალა. გთავაზობთ მის მონათხრობს – ერთი ამოსუნთქვით მოყოლილს, შეკითხვებისა და პაუზების გარეშე.

აფხაზეთის საომარი მოქმედებებში მაშინ მოვხდი, 6 ადამიანი რომ დაიღუპა სოხუმში. მახსოვს, მამაომ შეგვიკედლა. პირველი არხის ოპერატორი ვიყავი და ვცდილობდი, ყველგან ვყოფილიყავი და ისტორია შემომენახა. მანამდე ცხინვალთანაც ვიდექი ომის დაწყებამდე მთელი ღამე, ბევრი კადრი ჩამოვიტანე. აფხაზეთში პირველი კოლეგის დაღუპვა ყველაზე დიდი ტკივილი იყო. კუკური ადანაია – პირველი არხის ოპერატორი, სოხუმში, სამხედრო მოქმედებების ზონაში გადაღებაზე უნდა გასულიყო, რომ დაიღუპა. ჩემი მეგობარი იყო საშკა იოსელიანიც. ცხინვალში გასვლებზე ჟურნალისტად მომამაგრეს. მე ოპერატორი ვიყავი, ერთი თვე იქ უნდა ვყოფილიყავით. მთხოვა, გადაღება მესწავლებინა. ვუთხარი, კარგი მსახიობი ხარ, კარგი რეჟისორი, არაა ეს შენი საქმე-თქო, მაგრამ მოკიდებდა ამ ჩემს კამერას ხელს და ნახევარი კადრები სულ მისი გადაღებულია. მეც ვასწავლიდი რაღაცეებს და სამწუხაროდ, მერე ასე, კამერით ხელში დამელუპა გუმისთაზე. ერთ ხელში კამერა ეჭირა და მეორეში ავტომატიო, ასე მითხრეს. ეს ორი ყველაზე დიდი ტკივილია. ცუდია, ძალიან ცუდი.

ომი ძალიან რთული გადასაღებია. გარდა იმისა, რომ ის, რაც იქ ხდება, საკმაოდ მძიმე საყურებელია ნებისმიერი ადამიანისთვის, დალაგებულად იქ არაფერი ხდება. თუ დააკვირდებით, ყველა კარგი კადრი შემთხვევით არის გადაღებული. მიხვდი და დაგეგმილად გადაიღო – აქედან ჩვენი ისვრის, იქიდან მტერი, კადრიც კარგი იყოს – ასე არ ხდება. მე ოპერატორი ვარ, ჩემი საქმე კამერაა, ჯარისკაცის – ავტომატი, ამიტომ ოპერატორს მარტო კამერა უნდა ეჭიროს ხელში.

ბევრჯერ ყოფილა, კამერა გადამიღია – ყველაფერს ვერ გადაიღებ. მახსოვს, ერთხელ დაბომბილ სახლში შევე-





დით და ერთ სამხედროს, ახალგაზრდა ბიჭს, ცეცხლი მოექცა. ზოგი ალბათ გადაღებას დაიწყებდა, როგორ იწვის ის სამხედრო, მაგრამ მე გადავდე კამერა, ცეცხლი ჩემი ქურთუკით ჩავაქრე და დავრჩი ასე, მაისურით.

ყველაზე მძიმე კადრი კოდორის ხეობაში გადავიღე, ომის მერე. ავედით და ვიღებდი იქაურ ყოფას, ერთმა სამხედრომ მითხრა, წამოდი, სოხუმს და ზღვას გადაგაღებინებო. რა თქმა უნდა, წავყევი, მაგრამ რაც იქ, იმ გზაზე ვნახე, ნეტავი არ წავსულიყავი...ალბათ, ოსვენციმი იყო ასეთი – გზაზე დაყრილი ბავშვების ეტლები, აქა-იქ საფლავეები...ნეტავი არ მენახა. დღესაც არ ამომდის თვალიდან, ბავშვების ნივთები, საფლავეებს სიდიდით ვხვდებოდი, დიდის იყო თუ პატარის.

ერთხელ ბერიას აგარაკზე წამიყვანეს, როგორც გამოცდილი ოპერატორი. სიმაღლეზე ავედი, რომ კარგი კადრი

გადამელო. დენი მოვითხოვე და სამი კასეტა, სამსაათიანი. მითხრეს, რომ იქაურობა იბომბებოდა და ისე დავაყენე კამერა, დაბომბვის შემთხვევაში, კადრში აუცილებლად რომ მოხვედრილიყო. გაეუშვი ჩანერაზე. სამ საათში ერთხელ კასეტას ვცვლიდი. ისე გაიარა მთელმა ღამემ, ერთი არაფერი აფეთქებულა. გათავდა კასეტაც, გათენდა კიდეცაც, მოგხსენი კამერა, უნდა წამოვსულიყავით და სწორედ მაშინ გახსნეს ცეცხლი. ირონიაა, მაგრამ ომში ასე ხდება, დაგეგმილად ვერაფერს გადაიღებ.

იყო ასეთი ამბავიც – „პიტომნიკის“ დაბომბვის შემდეგ ჯარისკაცები ცალ მხარეს ავტომატით და ცალ მხარეს მაიმუნით დადიოდნენ. ეს კადრი არ გადამიღია.

ავლანეთი, ერაყი, ჩეჩნეთი, საქართველო. ერთი სამამულო ომს არ ვარ მოსწრებული. მახსოვს, ერაყში როდესაც ჩავედით პირველად, დაგვაყენეს ერთად გადამღები ჯგუფები, გვითხრეს, საიდან რა იარაღით გაიხსნებოდა ცეცხლი. ჩვენ კი ასე არ ვიღებდით. ყველა კარგი კადრი შემთხვევით მაქვს გადაღებული, ომში ასე ხდება.

აუცილებელია, ახალგაზრდა ჟურნალისტებმა კარგად ისწავლონ და იცოდნენ, ომის დროს რისი გადაღება შეიძლება და რისი არა. სხვანაირად ეს საქმეს ვნებს. სანგარში ვიყავი, გუმისთაზე, იქიდან ეშერის ბაზა კარგად ჩანდა და უნდა გადაგველო. ერთი ოფიცერი მოვიდა და გვთხოვა, შტატივით არ გადაიღო და კადრიც „აქანავო“. რატომეტიქი, ვკითხე. სხვანაირად ჩვენს პოზიციებს გამოთვლიანო. ერთი შეხედვით, უბრალო ნიუანსია, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი. აქ სამშობლოს სიყვარული ყველაფერზე წინ უნდა დააყენო, და ისიც უნდა გახსოვდეს, ნებისმიერი შენი გადაწყვეტილების მეორე მხარეს, საპირწონედ, შენაძლოა, ვინმეს სიცოცხლე იდოს.

– რას ეტყოდით მომავალ კოლეგებს?

არასოდეს გენახოთ ომი, არასოდეს. და ისწავლეთ ბევრი....

ესაუბრა ქეთევან თევზაძე



ოქროს დაბადების დღე

ჩემი რესპოდენტი ინტერვიუზე დიდი ძალისხმევით დავიყოლიე. შევპირდი, რომ მის ანონიმურობას დავიცავდი, თუმცა ისტორია, რომელიც მას გააჩნია, საკმაოდ მძიმეა და შესაძლოა, ბევრისთვის, სამწუხაროდ, ძალიან ნაცნობიც აღმოჩნდეს. თუმცა არის რაღაც, რაც მარტო მისია და დღემდე გულის დაწყევლით ახსენდება დაბადების დღე, რომელიც მის ბავშვურ წარმოდგენაში ოქროსი უნდა ყოფილიყო

– დავიბადე და გავიზარდე ახალდაბაში. ომი რომ დაიწყო მალევე 10 წლის გავხდი. იმ წელს თბილისში გადაგვიყვანეს მშობლებმა სასწავლებლად. დრანდიდან გამოვფრინდით. აეროდრომი დაბომბეს და მთელი ღამე ველოდებოდით თვითმფრინავს. თვითმფრინავში ფეხზე ვიდექით და ისე ვიფრინეთ დედამ, უმცროსმა ძმამ და მე. ბებია და მამა დარჩნენ. შემდეგ, არდადეგებზე ისევ მშობლიურ სახლს დავუბრუნდით, ბებიას სჯეროდა, რომ სამშვიდობო მოლაპარაკება არ დაირღვეოდა, სახლიდან ვინმე თუ გააგებდა ვერ წარმოედგინა და წასვლა არ უნდოდა, ვერ გვიშვებდა. თუმცა მოლაპარაკება მაინც დაირღვა და ასე აღმოვჩნდით ბრძოლის ველზე საკუთარ სახლში. მამა უკვე ომობდა, ასე რომ, ბებიას, დედას, ჩემს უცროს ძმას და მე სახლიდან გასვლა და დამალვა მოგვინია. მოგვიანებით გავიგეთ, რომ მამა ჩვენს საძებნელად მობრუნებულია, მაგრამ ჩვენ მოწინააღმდეგე გვეგონა და ვემალებოდით, რომ გვცოდნოდა ის იყო, ალბათ, ცოტა სხვანაირად განვითარდებოდა მოვლენები.

– რატომ არ წამოხვედით მანამდე?

– მამას ველოდებოდით, უნდა წავეყვანეთ. აგვისტოს ბოლო იყო, მაგრამ მამა პოზიციებზე იყო, მერე გზებიც გადაიკეტა. რაღაც ამბებს ვიგებდით, თითქოს მოდიოდნენ ჩვენს გასაყვანად. კაცი არ იყო არავინ, მარტო ქალები და ბავშვები ვიყავით. ახალდაბა როდესაც დაეცა, გავედით და თხრილებში ვიმალებოდით. მახსოვს, იმ თხრილში ბებიამ მეზობელს უთხრა რაღაც მეგრულად, მოგვიანებით გავიგე, რომ ასე უთქვამს, ძალიან ცუდი ვითარებაა მგონი და როდემდე ვიყოთ ასეო. როდესაც გათენდა, მეზობლის სახლში შევიდა ბებია, თეთრი ნაჭერი აიღო და გნებდებითო, შემოსულ ბოვიკებს უთხრა. ახლაც მესმის ის ხმა, როგორ ყვიროდა, არ გვესროლოთო. სკოლისკენ წაგვიყვანეს ყველა. იქიდან სატვირთო მანქანებით აძიუჟბაში და შემდეგ ათარაში გადაგვიყვანეს. იქაც სკოლის შენობაში შეგვიყვანეს. საკლასო ოთახებში გაგვანაწილეს. სამი ღამე ვიყავით იქ და ის საშინელებები არასოდეს დამავიწყდება. არავის ნდობდნენ, ასაკის და სქესის მიუხედავად. ღამით პოზიციებიდან დაბრუნებული ბოვიკები გაზეთს დაახვევდნენ, ცეცხლს მოუკიდებდნენ და პირველივე, ვისაც დაინახავდნენ, გაჰყავდათ. მე მერხის ფრთის ქვეშ მმაღავდა დედა. მე გადავრჩი, მაგრამ ბევრს ჩემსავით არ გაუმართლა.

– ათარის სკოლიდან როგორ გამოხვედით?

იქიდან ბებიას ყოფილმა მოწაფემ გაგვიყვანა, რა თქმა უნდა, თანხის სანაცვლოდ. დედამ სახლიდან რაღაცეების

გამოტანა მოასწრო და ცოტა კუპონი გვექონდა. ენგურზე უნდა გადავეყვანეთ. სამი ღამის შემდეგ გაგვიყვანა და, როგორც გავიგეთ, სწორედ იმ ღამეს საშინელებები დატრიალებულა, ვიღაც მოუკლავთ კიდეც. როგორც აღმოჩნდა, გამოვასწარი. სატვირთო მანქანაზე დაგვსვეს და სოფელ-სოფელ მივდიოდით. ერთ სოფელში გავჩერდით, არც ის ვიცო, რომელი სოფელი იყო და არც ის მახსოვს, რატომ გავჩერდით იქ. აფხაზი მეომარი მიუსვენებიათ და ჭირისუფალმა გაიგო, რომ ქართველი ტყვეები ჰყავდათ.... იქიდან ძლივს გამოვასწარი. ის ღამე ვიღაცის სახლში გავათენეთ. მახსოვს, მეორე სართულზე ვინეკით იატაკზე. სახლს ჭურვი ჰქონდა მოხვედრილი და მთვარის შუეი შემოდიოდა. დღისით ტყვარჩელში წაგვიყვანეს, პოლიციის შენობაში, წინასწარი დაკავების საკანში. იქ ვიღაცას შევეცოდეთ და საკნიდან ოთახში აგვიყვანეს, რომელსაც არც ერთი ფანჯარა არ ჰქონდა. სადღაც სამი კვირა ვიყავით იქ. ვიღაც დაქირავებული ბოვიკი მოდიოდა ხოლმე და დედას ეტრახებოდა, რომ ახალდაბა მისი ალბულის იყო. ჩემი ძმა თავის შვილს მიაშვავსა და საჭმელი მოჰქონდა ხოლმე. ერთი სომეხი ეროვნების ქალბატონი იყო, რომელსაც ხანდახან ხილი მოჰქონდა. იქ ოთხ ოქტომბრამდე ვიყავით. სოხუმის დაცემის შესახებაც იქ გავიგეთ და ჩემ დაბადების დღესაც იქ შევხვდი...

– დაბადების დღე პირველ რიცხვში გაქვს ...

ხო, (აქ ჩაელიმა). იმ დღეს პური გვექონდა. ჩემი წილი ორად გავყავი, დაბადების დღე მქონდა და ჩემ თავს საჩუქარი გავუკეთე. მოგვინებით უნდა მეჭამა. თან გული მწყებოდა, მანამდე სულ ვფიქრობდი, რადგან პირველ რიცხვში მქონდა დაბადების დღე და ნამდვილი ოქროს დაბადების დღე არ მახსოვდა, თერთმეტის რომ გავხდებოდი, მაშინ გადამიხდიდნენ ოქროს დაბადების დღეს....

მოგვიანებით ისევ ბებიის მოსწავლემ გადაიყვანა ენგურზე. მამის ნახვის იმედი აღარც ჰქონდა. მამა კი კოდორზე გადმოსულა ფეხით და ენგურის ხიდზე მიდიოდა ყოველდღე, ოჯახის წევრებს ელოდებოდა და გადმოსულებს ეკითხებოდა ამბებს. სწორედ ამ მოლოდინით გასული, 4 ოქტომბერს ჩემი რესპოდენტის მამა შემთხვევით შეხვდა მეუღლეს, დედას და უკვე გაზრდილ შვილებს.

შემდეგ იყო თბილისი. არანაკლებ მძიმე წლები, გაუცხოება გარემოსთან და ხალხთან, რომლებმაც არ იცოდნენ, რა არის ომი, თითქოს ეს ომი მათ ქვეყანაში არც მომხადარა.

დღეს ჩემი რესპოდენტი საკმაოდ წარმატებული მოქალაქეა. ამბობს, რომ თბილისელი არ არის, ახალდაბელია და ძალიან წუხს, რომ სახლიდან მას მხოლოდ მოგონებები, დაბრუნების იმედი და ოქროს დაბადების დღე დარჩა.

ესაუბრა ქეთევან თევზაძე





„საქინფორმი“

მოხუცი, ყვავილი და სოხუმი



სოხუმის დამცველებს შორის არის ერთი სახელი, რომელიც, ალბათ, ყველამ იცის. იცის იმიტომ, რომ ეს თავგანწირული ადამიანი ქალბატონია და მიუხედავად იმისა, რომ სანგრის ტალახს ზღვას ატანდა, ტყვიაც მიუღია და ყუმბარის ნამსხვრებიც დღემდე თავს ახსენებს, თავისი ქალურობა არც ომში დაუკარგავს. ქალბატონ დოდოს ვთხოვეთ, მოეყოლა

როგორი იყო მისი წილი სოხუმში და როგორ იბრძოდა იქ ბოლო დღეებში. არ დაგიმალავთ, მონათხრობი საკმაოდ მძიმეა, თუმცა არის ისტორია, რომელიც ბევრმა არ იცის და რომელმაც განსაკუთრებით შემძრა – შვილის მომლოდინე მოხუცის ამბავი. ჩემთვის ამ ამბავმა დაიტია მთელი საქართველო. გავკადნიერდი და როგორც ამ ნომრის რედაქტორმა, სწორედ ეს ამბავი გადმოგეცით.

ფერფლისფერი ალიონი შემოიპარა სოხუმში. ღამით „პოსტებს“ ვაყენებ. თან შეგრძნება მაქვს, რომ ვიღაც მითვალთვალავს. ერთ-ერთი კორპუსის მიმდებარედ, მკლავის გაშლისოდენა ბაღში მოხუცი ქალი ზის. დიდჯიბეებიანი, თხელი ქურთუკი აცვია. ჯიბეები ისეა გამობერილი, საცაა ნაკერებში გადაიფხრინება.

– ვინა ხარ შვილო, საიდან? – ჩავარდნილი ხმით მეკითხება.

ვუსხნი ვინ ვარ, თან თვალი ყვავილის ბუჩქისკენ გამირბის. მოხუცის მზერა ჩემსას მიჰყვება, დაშრეტილი ხელით წყვეტს ყვავილს და მანვდის. ყვავილს სიხარულით ვიმაგრებ ღილკილში.

– შვილი გყავს?

ვგრძნობ, სალტესავით მეკვრება სულზე ჩემი პატარა, გაკნაჭული ბიჭის მონატრება, პასუხი ალბათ, სახეზევე მანერია.

– ჩემი ბიჭი იბრძვის – ისე გააგრძელა საუბარი, პასუხს არც დალოდებია. დავბირდი, სახლთან დავხვდე, თითქოს საკუთარ თავს ესაუბრება. ორცხოპი-

ლას მთავაზობს შვილის მომლოდინე, ღამესაც ბაღში ათეთრებს, მცირედი სანოვაგეც თან აქვს.

– როცა სოხუმიდან რუსებს და სეპარატისტებს, გადამთიელებს გავყრით, მოგინახულებთ, თქვენი შვილი უნდა გამაცნოთ – ვეუბნები, ჩანაკლულ თვალებში სხივი ემატება.

– მომავნებ?

– ხახვის ფოთლებს დავყრი გზაზე და უკანვე გამოვყვები, ვმხიარულობ.

მოხუცი გემრიელად კუჭკუჭებს. მეც კმაყოფილი ვცილები ორცხოპილის ხრამუნით.

კვადრატულად იბომბება სოხუმი. გამუდმებით ფხრენენ ქალაქს და ისიც ესტაფეტასავით გადადის ხელიდან ხელში.

ისევ სადგურზე ვიბრძვით. სადღაც მე-11 ბრიგადაა, სადღაც „ჩოლოყაშვილის“ ბიჭები, სადღაც მხედრიონე-



ფოტოს ავტორი გიორგი შარაშენიძე





ლები, სადღაც ადგილობრივი ვაჭრები... ვიგებ, ხვჩიამ თვალი დაკარგა, ბაჭიამ გამოიყვანა... ეწირებიან ბიჭები სოხუმს.

ვიგებ, ალყაში მოქცეულებს, გუგუციძის შინაგანი ჯარი გვიახლოვდება, ვერ შემოვიდნენ ჩვენამდე, „სოხუმ პრობორამდე“ მოვიდნენ მანქანით, მერე ფეხით მოეშურებოდნენ ჩვენსკენ. თარხნიშვილისა და ბაგრატიონის ქუჩების გადაკვეთაზე, რაზმი ორად იყოფა. გელა ათაქიშვილი თავში დაიჭრა, მისი თანაპოლკელებიც დაიჭრნენ... ისევ მარტო ვრჩებით.

„ჩემი“ მაიაკელი მოხუცი ადგილზევე დაუცხრილავთ რუსებს. მისთვის, ალბათ, გამოსავალიც იყო და შვებაც ბებერ სხეულზე მიცლილი მჭიდი.

მთავრობის სახლის მისადგომებთან რუსები და სეპარატისტები, კონფედერატები ტყვიამფრქვევებიდან ცეცხლს უხსნიან ქართველებს. ამ დროს ჟიული შარტავა, ჩვეული ღირსებით, კაცობით, სიამაყით, მშვიდად ელოდება მტერ-

სა თუ მოყვარეს. გაბისკირიას, ალასანიას დაცვის ბიჭებს მლეღვარების არაფერი ეტყობათ, იცინა, არ და ვერ დატოვებენ სოხუმს, რომლის მაჯისცემაზე ახლა სრულიად საქართველოს უდევს ხელი....

დაკარგულ სოხუმში სადგურს „კბილებით“ ვინარჩუნებთ. თუ გაგვითავდა ტყვია, ბოლო ტყვია ერთმანეთისთვის და ბოლოს დარჩენილმა საკუთარი შუბლისთვის გამოვიყენოთ, ვეუბნები ბიჭებს, მაგრამ მათ ეს გადაწყვეტილება ჩემამდე მიიღეს, ამიტომაც უსიტყვოდ დამეთანხმა ყველა.

ჯაბა იოსელიანს ძალით გამოვყავართ სადგურიდან. აგუძერას საავადმყოფოში შევდივართ, ფიცრის ნატეხებზე ბიჭებს გვარებს ვანერ და სამშობლოსათვის შენგრეულ მკერდზე ფრთხილად ვადებ.

მძიმედ კონტუზირებულმა და დაჭრილმა, ახლა გოლგოთა უნდა გავიარო ქუბერზე...

დოდო გუგეშაშვილი



ფოტოს ავტორი შახ აივაზოვი

„მე ჩემი სოხუმიდან ცოცხალი არ გავალ“...

გენერალი გენო ადამია – ეს სახელი და გვარი ცოტამ არ იცის დღეს საქართველოში – სოხუმის ერთ-ერთი ბოლო დამცველი და 23-ე ბრიგადის პირველი მეთაური. გენერალი ადამია ამ ომში ორ ვაჟთან ერთად იბრძოდა, ერთი მათგანი თან ახლდა, ხოლო მეორე, ჩვენი დღევანდელი რესპოდენტი – სამხედრო ჰოსპიტალში დაჭრილებზე ზრუნავდა სოხუმის დაცემის შემდეგაც. ექიმები, ალბათ, ტკივილს პროფესიულად აფასებენ და მათთვის ადამიანური ტრაგედია მხოლოდ მაშინ იძენს მკვეთრ კონტურებს, როდესაც „მუშაობას“ ამთავრებენ. მანამდე ამაზე ფიქრის უფლება არ აქვთ და მათი მოქმედების სისწრაფეზე სიცოცხლეებია დამოკიდებული, მაგრამ ელგუჯა ადამიას ისტორია ადამიანური ნებისყოფის საზღვრებს სცდება და სწორედ ეს არის, რაც ადამიანს გმირად აქცევს.

– ბატონო ელგუჯა, თქვენ ჰოსპიტალში შემოდიოდა დაჭრილი მებრძოლების უმეტესობა და მათ შორის მონაალმდევეც.

არავითარი განსხვავება არ იყო, ერთი წამითაც არ ყოფილა მთელ გუნდში მათ მიმართ მტრული დამოკიდებუ-

ლება. ჰოსპიტალში მთელი სამედიცინო პერსონალი ვიბრძოდით ნებისმიერი დაჭრილის გადასარჩენად, შემდეგ უკვე შტაბი როგორც მოითხოვდა, ისე ვწერდით და მერე რა ხდებოდა, ეს ჩვენ აღარ ვიცოდით.

– ცნობილია, რომ თქვენი სამხედრო ჰოსპიტალი იყო ბოლო, ვინც სოხუმი დატოვა, თუ შეიძლება, გვიამბეთ, როდის და რა ვითარებაში მოხდა ევაკუაცია

– ჰოსპიტალი სადღელამისო რეჟიმში მუშაობდა 16 სექტემბრიდან. მაშინ მივხვდით, რომ ომი თავიდან დაიწყო. ევაკუაცია ოფიციალურად განხორციელდა 23, 25, 28 სექტემბერს დიდი სადესანტო ზომაზედებით, 15 000 ადამიანს იტევდა თითო, სევასტოპოლიდან ჩამოვიდნენ. პირველი ევაკუაცია ჩავატარეთ ორი გემით. „ლიტერატურნაია გაზეტას“ და მაჭარკას მხრიდან გავაგზავნეთ დაჭრილები. მეორეც შედგა და მესამე იყო უკვე სოხუმის დაცემის შემდეგ, 28 სექტემბერს. 27-ში ჩვენ ჯერ კიდევ ვმუშაობდით აგუძერაში.

– ცნობილია, რომ სწორედ ამ დღეებში შემოიყვანეს თქვენი მამა და ძმა

– გენო ადამია გოჩასთან ერთად დაიჭრა 25-26 რიცხვში, რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან. შუაში ჩაუვარდათ



ნაღმტყორცნის ყუმბარა. არავინ სხვა არ დაშავებულა მამა-შვილის გარდა. მოიყვანეს ჰოსპიტალში, მეთაური (ასე ვეძახდი გენოს) დაჭრილი იყო კისერში და ხელში. გოჩა იყო ძალიან მძიმედ. ჩავუტარეთ სარეანიმაციო პროცედურები. გოჩას დაკარგული ჰქონდა პულსი, წნევა – ყველაფერი, ერთი დღე გაგრძელდა კრიტიკული მდგომარეობა, მეორე დღეს მოვახერხეთ ჰოსპიტალის ხალხის ევაკუაცია აეროპორტიდან. ეს ბოლო თვითმფრინავი იყო, რომელიც გამოფრინდა და გოჩაც მათთან ერთად გამოფრენი თბილისში.

ამის გამო დიდი კონფლიქტი მქონდა გენოსთან. ხალხი რას იტყვისო, გოჩას ევაკუაციას გულისხმობდა, ჯარი ასეთ დღეშიაო, ბოლოს ვუთხარი, რომ ჰოსპიტალში მე ვიყავი უფროსი და მე ვიღებდი გადაწყვეტილებას, ვისი ევაკუაცია მოხდებოდა. ოპერაციის შემდეგ გოჩა სასუნთქ აპარატზე იყო. გენოს რომ ჩაუტარდა პროცედურები, მოიკითხა გოჩას ამბავი, მიუჯდა სანოლთან და უთხრა, უფრო ძლიერი მეგონე, მე ფეხზე ვარ და შენ კიდევ წევხარო.


გენოს წამალი გავუკეთეთ, ცოტა ხანს რომ გათიშულიყო. რამდენიმე საათი ეძინა. უცებ ჩოჩქოლი ატყდა, ყარყარაშვილი და ბათიაშვილი მოვიდნენ ბევრი ხალხით. შეირყა მთელი ჰოსპიტალი. ამ ჩოჩქოლში წამოხტა, რა ხდებაო? გენო ბიძია, როგორ ხარო – ყარყარაშვილმა (ასე ეძახდა ყარყარაშვილი), რაო პანიკა გაქვთო? წინ რა ხდებაო? ხელი არ უმუშავებდა, მაგრამ აბა სასწრაფოდ ჩამაცვითო. ცხონებულმა თენგო ბენდელიანმა შეუკრა თასმები.

– ამბობენ, რომ გენო ადამია ყველა დაღუპული მეომრის ოჯახში პირადად მიდიოდა..


– ეს ცალკე ისტორიაა. დიახ,მიდოდა ყველა დაღუპულის ოჯახში. ზოგადად ასეთი განრიგი ჰქონდა: დილიდან შტაბში იყო, შუადღემდე თათბირები, დელეგაციების მიღება, შუადღის მერე მიდიოდა ტყეში, მთელი ღამე ყველა ბატალიონს მოინახულებდა და, როგორც თქვით, მიდოდა ასევე ყველა დაღუპული მეზრძოლის ოჯახში, ყველას ანუგეშებდა და ვისაც რა სჭირდებოდა ყველაფერს აგვარებდა. ოჯახები ამ ყურადღებით ცოცხლობდნენ.

– როდის ნახეთ ბოლოს გენო ადამია?

– ბოლოს ვნახე 27 -ში. სოხუმი რომ დაეცა, შტაბიდან არ გამოდიოდა. ინგრეოდა ქალაქი, ყველაფერი დამთავრებული იყო. მინისტრთა საბჭო ტყვედ იყო, ჯერ არ ვიცოდით დახვრეტის ამბავი. დაინიშნა თათბირი ჩემთან, აგუძერაში, ჰოსპიტალში, მაგრამ გენო არ გამოდიოდა შტაბიდან. ოთახში სანთელი ენთო, მუხლებზე იდგა,მაპატიეთ შვილებოო, ლოცულობდა, ამის მერე მოვიდა თათბირზე. ბიჭებს ვუთხარი, ხელში ხომ არის დაჭრილი და ახლა ფეხში დაჭერით და მოიყვანეთ, ისე არ გამოვა-თქო. ღამით თათბირზე ვნახე.ხელი მომიწერეს ჰოსპიტლის ევაკუაციაზე და გამოვედი. გამოსვლისას გენოს სიტყვებს მოვკარი ყური, კელასურის ხიდი უნდა გავამაგროთო. დავბრუნდი ჰოსპიტალში. მთელი ქალაქის ექიმები ჩვენთან იყვნენ ევაკუირებულები და დავინწყეთ მზადება. სადღაც ოთხის ნახევარზე მოვიდა გენო, ის ღამე ჩემთან გაატარა ჰოსპიტალში. 28 -ში დილით, 8 საათზე გვქონდა გამოსამშვიდობებელი საუბარი. რას შვებოო, მკითხა. ევაკუაციას ვამზადებ-თქო და შენ რას აპირებ-მეთქი? ვბრუნდები ქალაქშიო. შენ ასე გადანყვიტე-თქო და ცრემლი რომ წამოვივიდა, შენ უფრო მაგარი მეგონეო და მიჩქმიტა. ხალხის



გენო ადამია



ელგუჯა ადამია

ევაკუაცია ბოლომდე ჩაატარე, დაჭრილები სამშვიდობოს გაიყვანე და მერე, ვისაც გული ერჩის, სვანეთში შემოგვიერთდებო. ამით მორჩა ჩვენი საუბარი.

გასვლისას იოსელიანს შეხვდა ეკლესიასთან, ჰოსპიტალის გასასვლელთან. გიჟიო, მამაშენი არ მიჯერებსო. მეგობრული ჩხუბი ჰქონდათ. შემდეგ მაჭარკაზე დათო გულუას აუარა, შემდეგ ყარყარაშვილს. აი, ასე შევარდა ქალაქში და მონინავე გუნდს გადაეყარა. კელასურის ხიდზე გადავიდა და ბოლო მეტრზე დალია სული. ეს იყო 28 სექტემბერს, დაახლოებით პირველის ნახევარზე, დღისით.

ევაკუაციის მზადების დროს ჰოსპიტალის ეზოში 20-მდე გარდაცვლილი დავასაფლავეთ. შიშველი ხელებით ვთხრიდით მათთვის საფლავებს. დრო ცოტა იყო, გვარი, სახელი, ვახვევდით და 20 სანტიმეტრიან საფლავებს ვთხრიდით, ბევრი საქმე გვქონდა მოსასწრები.

– თქვენ როდის დატოვეთ სოხუმი?

28-ში, დილემა მქონდა, ხალხი ან სვანეთის გზით უნდა წამეყვანა, რაც ძალიან რთული იყო, დაჭრილები მეღუპებოდნენ, ან გემით, რომელსაც ველოდებოდით. გვითხრეს, რომ გემები იქნებოდა.

დავაყენე გუშაგი და 3-4 საათზე ველოდებით გემის გამოჩენას. თუ არ გამოჩნდებოდა, ხალხი ტყეში უნდა გამეყვანა. ყველაფერი იკეტებოდა, უკვე მტერი მოდიოდა. კომუნიკაცია არ იყო მაშინ ასეთი და მეორის გამოჩენამდე დავდიოდი წინ ერთი ადგილიდან მეორეზე. ჰოსპიტალთან შევხდი ჩემ თანამშრომლებს. ბატონო ელგუჯა, გემი გამოჩნდაო. დავიდარით, პირველი გემი „ლიტერატურკაზე“ ადგებოდა და

ნავებით უნდა მივსულიყავით, მეორე პირდაპირ ადგებოდა. დავიწყეთ დატვირთვა პირველ გემზე და დავგვომბეს. ხალხი არ დავგვლუპია. დავიდარით მეორისკენ, სანაპირო ზოლით მივედით მაჭარკზე. დავიწყეთ პატაკი, ჩატვირთვა და მოგვადგა ჩვენი მოსახლეობა ათასობით. ამ დროს მესმის – სანყალი გენო ადამია დაღუპულა და მისი შვილიც, ექიმი, რა კარგი ბიჭი იყოო. გენოზე ბევრჯერ მქონდა გაგებულები და ჩემზეც რომ ითქვა, საერთოდ შევეშვი გონებით გაანალიზებას. ამაზე ფიქრის დრო არ იყო.

მოვრჩით დატვირთვას, მაგრამ გემს არ ხურავენ. უკვე ვფიქრობდი, ტყვედ ხომ არ აყვავართ-თქო. ვხედავ, რომ მოადგნენ მაჭარკაზე ტანკები აფხაზური დროშებით. იარაღი არ აგვატანინეს, მხოლოდ ოფიცრის პისტოლეტი, ისიც რამდენიმე კაცს. პანიკაში ვიყავით, სადღაც 9-ის ნახევარზე დავიდარით და ბოლო გემმა სოხუმი დატოვა 9 საათზე. როგორც კი გემი გავიდა, სოხუმი განათდა ფეიერვერკებით, იყო სროლები, გამისკდა გული. სადღაც 2 საათი ვღრივდები და ვტიროდი, ძალიან მძიმე სანახავი იყო. ასე დავტოვეთ სოხუმი...

– და ბოლოს, რას ეტყოდით ქართველებს და აფხაზებს?

– აფხაზებს, პირველ რიგში, ვუსურვებდი გადარჩენას გადაგვარებისა და გადაშენებისგან, რაც ძალიან დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას დღეს. ჩვენს მშვიდობიან დაბრუნებას ვუსურვებ ყველას.

ესაუბრა თეონა ტაბატაძე

„არასოდეს ცხოვრებაში“



დაბადების თარიღი – 2 მარტი, 1947 წ. ქ. სოხუმი.

გარდაცვალების – 27 სექტემბერი, 1993 წ. ქ. სოხუმი.

უმაღლესი განათლება – ისტორიკოსი.

საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ფეხბურთში.

საფეხბურთო კლუბ სოხუმის „ცხუმის“ დამაარსებელი.

ქ. სოხუმის მერი – 1992 წლიდან.

აფხაზეთის ა. რ. თავდაცვის საბჭოს წევრი, სამხედრო წოდება – პოლკოვნიკი.

სიკვდილის შემდეგ მიენიჭა „ვახტანგ გორგასლის“ პირველი ხარისხის ორდენი.

– არასოდეს, ცხოვრებაში!

ასე უპასუხა სოხუმის მერმა, გურამ გაბესკირიამ სეპარატისტების მოთხოვნას – დაეჩოქა... მას მერე იგი არავის უნახავს...

ამ სიტყვებით ამაცობენ ომგამოვლილი სოხუმელები, ამაცობს სრულიად საქართველო....

მისმა ამ სიტყვებმა ყველას დაანახა ქართული სულის გაუტეხლობა....

ამ ორ სიტყვაში გმირმა ქართველმა თქვა, რომ სამშობლო სიცოცხლეზე მეტია...

ეს ორი სიტყვა და თავგანწირვა ლეგენდად იქცა...

მან, ყოფნა-არყოფნის სამანთან მდგარმა, სიცოცხლის ღირსეული დათმობა არჩია...

გურამ გაბესკირია იდგა ისე, როგორც უნდა მდგარიყო – ამაყი და შეუვალი.

ეს ორი სიტყვა უფრო ბევრი იყო, ვიდრე ყველა სიტყვა ერთად, რაც თქმულა ოდესმე საკუთარი ქვეყნის სიყვარულის გამოსახატად...

ამ ორი სიტყვით სიკვდილის შემდეგაც საქართველოს ემსახურება ბატონი გურამი!



27

საქართველო

სოხუმის დაბრუნების დღე 1993

ჩვენ დაუბრუნებელი
ერთმანეთს

Хара
хаибагхынхәуеит

